პრეზიდენტ ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი



ყოველთვის გვახსოვდეს იგი

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, როგორ წერდა მორმონის წიგნის ოქროს ფირფიტებზე დასკვნით სიტყვებს წინასწარმეტყველი მორონი? იგი მარტო იყო. იგი ხედავდა თავისი ერის, ხალხისა და ოჯახის დაცემას. მიწა იყო ომის „ერთი უწყვეტი წრე“ (მორმონი 8:8). მაგრამ მაინც, მას ჰქონდა იმედი, რადგან იგი ჩვენს დროს ხედავდა! და ყოველივედან, რაც შეეძლო მას, დაეწერა, მან გვთხოვა, *დაგვემახსოვრებინა* (იხ. მორონი 10:3).

პრეზიდენტ სპენსერ ვ. კიმბალს (1895–1985) ძალიან უყვარდა სწავლება იმაზედ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა ლექსიკონში არის *გახსოვდეთ.* რადგან ჩვენ ღმერთთან დავდეთ აღთქმა, - თქვა მან, „ჩვენი ყველაზე დიდი საჭიროებაა - გვახსოვდეს“ იგი.[1]

სიტყვა *გახსოვდეთ* წმინდა წერილში ყველგან გვხვდება. როცა ნეფი თავის ძმებს ასწავლიდა, იგი ხშირად იწვევდა მათ, ახსოვდეთ უფლის სიტყვა და ის, როგორ გადაარჩინა ღმერთმა მათი წინაპრები (იხ. 1 ნეფი 15:11,25.; 17:40).

თავის დიად გამოსამშვიდოდობებელ მიმართვაში მეფე ბენჯამინმა გამოიყენა სიტყვა *გახსოვდეთ* შვიდჯერ. იგი იმედოვნებდა, რომ მის ხალხს ემახსოვრებოდა „ღმერთის სიდიადე . . . და მისი სიკეთე და დიდი მოთმინება“ მათ მიმართ მოსია 4:11; იხ. ასევე 2:41; 4:28, 30; 5:11–12).

როცა მხსნელმა წარადგინა ზიარება, მან მოიწვია თავისი მოწაფეები, მიეღოთ ეს სიმბოლოები, რათა „ახსოვდეთ“ მისი მსხვერპლი ლუკა 22:19). ყოველი ზიარების ლოცვაში მე და თქვენ გვესმის სიტყვა *მუდამ,* რომელიც ითქმის სიტყვა *გვახსოვდეს* წარმოთქმამდე (იხ. მოძღვრება და აღთქმები 20:77, 79)).

მე გიწვევთ, უფრო მეტიც - გევედრებით, გახსოვდეთ. აი სამი რჩევა იმაზედ, თუ რა შეიძლება გვახსოვდეს ყოველ კვირას ზიარების სიმბოლოების მიღებისას. იმედია, ისინი თქვენც ისევე დაგეხმარებათ, როგორც მე.

გახსოვდეთ იესო ქრისტე

პირველი: გახსოვდეთ მხსნელი. გახსოვდეთ, ვინ იყო იგი დედამიწაზე ცხოვრების დროს, როგორ ესაუბრებოდა სხვებს და როგორ ავლენდა სიკეთეს თავის ქმედებებში. გახსოვდეთ, ვისთან ერთად ატარებდა იგი დროს და რას ასწავლიდა. მხსნელი - “დადიოდა, ქველმოქმედებდა” (საქმენი 10:38). იგი სნეულთა მკურნალი იყო. იგი ასრულებდა მამის ნებას.

ყველაზე მეტად, შეგვიძლია გვახსოვდეს ის დიდი ფასი, რომელიც მან გადაიხადა ჩვენდამი სიყვარულის გამო, რათა ჩვენი ცოდვების ლაქა ჩამოერეცხა ჩვენგან. როცა ჩვენ გვახსოვს იგი, იზრდება ჩვენი სურვილი, მივყვეთ მას. ჩვენ გაგვიჩნდება სურვილი, ვიყოთ ცოტათი უფრო კეთილნი, მიმტევებელნი და უფრო მეტად ვეძიოთ ღმერთის ნება და აღვასრულოთ იგი.

გახსოვდეთ, რა უნდა გააკეთოთ უკეთესად

ძნელია, იფიქრო მხსნელზე - მის სისპეტაკეზე და სრულყოფილებაზე - და არ იფიქრო იმაზე, რაოდენ

არასრულყოფილი და ნაკლოვანებით სავსენი ვართ მასთან შედარებით. ჩვენ დავდეთ აღთქმა, დავემორჩილოთ მის მცნებებს, თუმცა ხშირად ვმორდებით ამ მაღალ სტანდარტებს. მაგრამ მხსნელმა იცოდა, რომ ასე მოხდებოდა, ამიტომაც მოგვცა ზიარების წეს-ჩვეულება.

ზიარების ფესვები ძველი აღთქმიდან მოდის, როცა მსხვერპლშეწირვა ხდებოდა, სადაც ცოდვების აღიარებაც იგულისხმებოდა (იხ. ლევაინები 5:5). ჩვენ აღარ ვწირავთ ცხოველებს, მაგრამ შეგვიძლია ცოდვებზე ვთქვათ უარი. წმინდა წერილი ამას ეძახის „მოდრეკილი გულისა და მომნანიებელი სულის“ შესაწირს (3 ნეფი 9:20). მოდით ზიარებაზე მომნანიებელი გულით (იხ. მოძღვრება და აღთქმები 59:12; მორონი 6:2). როგორც იცით, თქვენ მიიღებთ ცოდვების მიტევებას და არ გადაუხვევთ იმ გზიდან, რომელსაც უკან, ღმერთთან მიჰყავხართ.

გახსოვდეთ მიღწეული წინსვლა

როცა ზიარების წეს-ჩვეულების დროს აანალიზებთ თქვენს ცხოვრებას, იმედია, თქვენი აზრები არა მხოლოდ იმაზეა მიჯაჭვული, რაც არასწორად გააკეთეთ, არამედ იმაზეც, რაც სწორად მოიმექმედეთ - იმ მომენტებზე, როცა გიგრძვნიათ, რომ მამაზეციერი და მხსნელი თქვენით კმაყოფილნი იყვნენ. თქვენ შეგიძლიათ ზიარების დროს სთხოვოთ ღმერთს, დაგეხმაროთ ყოველივე ამის დანახვაში. თუ ასე მოიქცევით, მე გპირდებით, რომ რაღაცას იგრძნობთ. თქვენ იგრძნობთ იმედს.

როცა ასე მოვქცეულვარ, სულიწმინდამ დამარწმუნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილებისგან ჯერ კიდევ შორს ვარ, მე დღეს, გუშინდელთან შედარებით, უკეთესი პიროვნება ვარ. და ეს მაძლევს დაჯერებულობას იმაში, რომ მხსნელის გამო მე შემიძლია უფრო უკეთესი გავხვდე ხვალ.

მუდამ ნიშნავს დიდ დროს და მოითხოვს დაძაბულ მცდელობებს. თქვენ იცით საკუთარი გამოცდილებიდან, როგორი რთულია, სულ გაზრებულად ფიქრობდე ერთ რამეზე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რაოდენ კარგად იცავთ დაპირებას - ყოველთვის გახსოვდეთ უფალი, მას მუდამ ახსოვხართ.

მხსნელმა იცის თქვენი სირთულეების შესახებ. მან იცის, რას ნიშნავს ცხოვრებისეული ტვირთის წნეხი. მან იცის, რაოდენ აუცილებელია თქვენთვის დალოცვები, რომლებიც მოდის, როცა ყოველთვის გვახსოვს იგი და ვემორჩილებით მას, *რათა მისი სული* ყოველთვის იყოს თქვენთან“ (მოძღვრება და აღთქმები 20:77;).

ასე რომ, იგი ყოველ კვირას გიწვევთ ზიარების მაგიდასთან და კიდევ ერთხელ გთავაზობთ, იყოთ მოწმენი მის წინაშე, რომ ყოველთვის გემახსოვრებათ იგი.

შენიშვნა

1. სპენსერ ვ. კიმბალი, “Circles of Exaltation” (address to Church Educational System religious educators, June 28, 1968), 5.

ამ მოწოდების სწავლება

ცხოვრება შიეძლება ძალიან დაიძაბოს და რთული გახდეს, ყოველთვის გვახსოვდეს ჩვენი მხსნელი, იესო ქრისტე. თუმცა ზიარება გვაძლევს ყოველ კვირას იმის საშუალებას, რომ დავფიქრდეთ უფლის ცხოვრებასა და მის სწავლებებზე. ახლა განიხილეთ, როგორ გამოიყენოთ ეს წყნარი წუთები მათთან, ვისთანაც სტუმრობთ და გადაწყვიტეთ, როგორ გაზარდოთ კონცენტრაცია მხსნელზე. როგორ შეგიძლიათ, გამოიყენოთ ეს წუთები, რათა დაფიქრდეთ იმაზე, რისი გამოსწორებაც შეგიძლიათ. რა აზრი აქვს ყოველკვირეული წინსვლის შეფასებას?

ახალგაზრდები

სამი რამ, რაც უნდა გვახსოვდეს

სიტყვა *გვახსოვდეს* ბევრჯერ გვხვდება მორმონის წიგნში. ნეფიმ შეაგულიანა თავისი ძმები, ახსოვდეთ, როგორ გადაარჩინა ღმერთმა მათი წინაპრები. მეფე ბენჯამინი სთხოვდა თავის ხალხს, ახსოვდეთ ღმერთის სიდიადე. მორონიმ კი მისცა რჩევა მკითხველს, ახსოვდეს, რაოდენ მოწყალეა უფალი.

აუცილებელია, გახსოვდეს მხსნელი. ჩვენ ყოველთვის, ზიარების მიღებისას, აღთქმასაც კი ვდებთ, რომ გვემახსოვრება იგი. პრეზიდენტი აირინგი გვიწვევს, გვახსოვდეს ეს სამი რამ ზიარების დროს.

1. **გახსოვდეთ იესო ქრისტე:** წაიკითხეთ წმინდა წერილში, როგორ ემსახურებოდა იგი ადამიანებს და გამოხატავდა სიყვარულს მათ მიმართ. როგორ გრძნობთ მის სიყვარულს? როგორ შეგიძლიათ ემსახუროთ სხვებს და გამოხატოთ სიყვარული მათ მიმართ, როგორც ამას მხსნელი აკეთებდა?
2. **გახსოვდეთ, რა უნდა გააუმჯობესოთ:** დაფიქრდით გასული კვირის მოვლენების შესახებ მომნანიებელი გულით. აირჩიეთ ერთი რამ, რისი შეცვლაც შეგიძლიათ და ჩაიწერეთ, რა ხერხით გააუმჯობესებთ ამას.

დადეთ თქვენი ჩაწერილი მიზანი ისეთ ადგილას, სადაც ხშირად დაინახავთ მას.

3. **გახსოვდეთ მიღწეული წინსვლა:** სთხოვეთ ღმერთს, დაგეხმაროთ თქვენი წინსვლის დანახვაში. ჩაიწერეთ, რას გრძნობთ.

ჩვენ არ ვართ სრულყოფილნი, მაგრამ მხსნელმა იცის ეს. აი რატომ გვთხოვს, გვახსოვდეს იგი. როცა იგი გვახსოვს, ეს გვაძლევს იმედს და გვეხმარება, გაგვიჩნდეს სურვილი უკეთესობისკენ შესაცვლელად. მაშინაც კი, როცა გვავიწყდება და არ გვახსოვს უფალი, „მას ყოველთვის ვახსოვართ“, - ამბობს პრეზიდენტი აირინგი.

„გახსოვდეთ, რაოდენ მოწყალე იყო უფალი“ (მორონი 10:3).

ბავშვები

გვახსოვდეს იესო

წმინდა წერილი გვასწავლის, რომ ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს იესო ქრისტე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა *ბევრს* ვფიქრობდეთ მასზე და მივყვეთ მის მაგალითს!

დადეთ ქრისტეს სურათი ისეთ ადგილას, სადაც ხშირად დაინახავთ მას.

და თუ ყოველთვის გახსოვართ, ჩემი სული იქნება თქვენთან“. (3 ნეფი 18:7).

© 2018 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *First Presidency Message, February 2018*. Georgian. 15046 131

უკეთ გაიცანით იგი და მისი ოჯახი

სტუმრად მოსული მასწავლებელი გულწრფელად უნდა ეცნობოდეს ყოველ დას და მეიყვაროს იგი, რათა დაეხმაროს მას რწმენის გაძლიერებაში და ემსახუროს მას.

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

რიტა ჯეფესონი და მისი სტუმრად მოსული მასწავლებელი დამეგობრდნენ მაშინ, როცა საუბრობდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს სახარების პრინციპებს. მაგრამ მათი საუბარი ასევე სიტყვების თამაშს მოიცავდა. რიტას ეს ყველაზე მეტად მოსწონს სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში, რადგან იცის, რომ ისინი მეგობრები არიან და ეს სტუმრობა არაა მხოლოდ ფორმალობა. იმდენი რამაა, რისი კეთებაც დებს ერთბოლივად შეუძლიათ, მაგ. ერთად გასეირნება ან ბაღში მუშაობა, სანამ ბავშვები თამამობენ.

თორმეტ მოციქულთა ქვორუმის მოციქულმა, უხუცესმა ჯეფრი რ ჰოლანდმა, თქვა: "იფიქრეთ საკუთარ თავზე, როგორც უფლის შვილებთან გამოგზავნილ დესპანებზე. . . . ჩვენ იმედი გვაქვს . . . რომ თქვენ ჩამოაყალიბებთ გულწრფელობის, სახარებაზე ორიენტირებულ ხანას წევრთათვის, ერთმანეთზე იზრუნებთ და დაეხმარებით ერთმანეთს, უპასუხებთ ერთმანეთის სულიერ და მიწიერ საჭიროებებს ნებისმიერი შესაძლო ხერხით".[1]

უფალმა, მოსეს მეშვეობით, უბრძანა ისრაელის შვილებს: "მკვიდრი თქვენს შორის, ისე იყოს თქვენთან ხიზანი და გიყვარდეთ იგი, როგორც თქვენი თავი"(ლევიანები 19:34). დები, რომლელბსაც ვსტუმრობთ, შეიძლება იყვნენ „უცხონი" ჩვენი მსახურების დასაწყისში, მაგრამ როცა უკეთ გავიცნობთ მათ და მათ ოჯახს, გაიზრდება ჩვენი სურვილი, ვატაროთ ერთმანეთის ტვირთი, რათა შევამსუბუქოთ იგი" და "დავაკავშიროთ გულები ერთიანობასა და ერთმანეთის მიმართ სიყვარულში" (მოსია 18:8, 21).

რეინა ი. აბურტო, მოწყალების საზოგადოების მეორე მრჩეველი გენერალური პრეზიდენტობიდან, იხსენებს დროს, როცა იგი იყო ახლად გაცილებული ეკლესიის წევრი. „ჩემი სტუმრად მოსული მასწავლებლები მეწვივნენ სახლში", - თქვა მან, და „მათ ჩემს გულში სიყვარულის გრძნობა შემოიტანეს".[2]

განიხილეთ შემდეგი

იმ დების ოჯახებში, რომლებთანაც სტუმრობთ, რომელი მნიშვნელოვანი თარიღები უნდა გახსოვდეთ?

შენიშვნები

1. ჯეფრი რ.ჰოლანდი "Emissaries to the Church," *Liahona*, 2016 წ. ნოემბერი, გვ. 62.
2. Reyna I. Aburto, "What Has Relief Society Been for Me?" Brigham Young University Women's Conference, May 5, 2017, LDS.org.

მსახურება

როცა უფრო ახლოს გავიცნობთ და შევიყვარებთ ყოველ დას, რომელთანაც ვსტუმრობთ, ჩვენ მივიღებთ პირად შთაგონებას იმისთვის, რომ გავიგოთ, როგორ გაუწიოთ საჭირო მიწიერი და სულიერი დახმარება თითეულ მათგანს.

© 2018 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი დამტკიცებულია: 6/17.
თარგმანი *Visiting Teaching Message, February 2018*. Georgian. 15046 131